

Pharamond Blanchard. *Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)*. Le Tour Du Monde.  
T. II. Paris, 1860

En entrant dans la ville au milieu d'un concours immense qui remplissait les rues étroites du vieux quartier, tout en faisant attention à ne pas écraser sous les pieds du cheval cosaque que je montais quelque curieux imprudent, tâche difficile s'il en fût au monde, je regardais les balcons saillants, les toits plats des maisons regorgeant d'une foule compacte de femmes et d'enfants, de ces belles Géorgiennes que je n'avais entrevues que voilées à Smyrne ou à Constantinople, et qui là apparaissaient dans tout l'éclat de leur beauté. Où étaient Decamps et Marilhat, ces deux excellents artistes qui nous ont révélé l'Orient! (114)

ქალაქის [თბილისის] შესასვლელში, იმ უზარმაზარი ბრბოს შუაგულში, რომელსაც ძველი უბნის ვიწრო ქუჩები გაევსო, ყურადღებით ვიყავი, რომ კაზაკის ცხენის ფლოქვების ქვეშ ვინმე არ მოხვედრილიყო, რაღაც უგუნური ცნობისმოყვარეობით მივდიოდი, რაც მსოფლიოში ოდესმე არსებული უძნელესი ამოცანაა და ვუყურებდი წინ წამოწყულ აივნებს, სახლების ბრტყელ სახურავებს, რომლებიც სავსე იყო ქალებითა და ბავშვებით, იმ ლამაზი ქართველი ქალებით, რომლებიც ვუაღიით შებურული მხოლოდ სმირნასა და კონსტანტინოპოლში მენახა, აქ კი მათი სილამაზე სრული ბრწყინვალეობით დავინახე. სად იყვნენ დეკამპი<sup>1</sup> და მარილა<sup>2</sup>, ეს ორი ბრწყინვალე მხატვარი, რომლებმაც აღმოსავლეთი გვაჩვენეს!

\*\*\*

Ce serait une curieuse nomenclature que celle des races diverses composant la foule qui nous entourait. A côté de la papakha\* et du bechmet\* tatar revêtus également par les montagnards et les Cosaques de la ligne, du bonnet pointu en forme de claque des Persans, on voyait la papakha en pain de sucre du Géorgien et le l'Arménien, la casquette nationale du marchand russe et son cafetan; puis c'était la bourka\* caucasienne, la longue robe des sectateurs d'Ali; parfois un parsi, en route pour son pèlerinage de Bakou, laissait apercevoir le tulban aplati des environs de Bombay; des Kurdes, quelques Turcs se mêlaient à la foule que dépassaient, sur la place du Bazar que nous traversions, les têtes des lourds chameaux d'Asie, aux jambes courtes, au garot velu et à la double bosse formant ensellement. La partie féminine, en grande majorité composée de Géorgiennes et d'Arméniennes, chrétiennes par conséquent, usant de ce privilège, si rare chez les femmes orientales, d'aller le visage découvert, offrait aux regards cette charmante coiffure nommée tassakravi, sorte de tortil de baron formé d'un large ruban d'où s'échappe un voile léger lamé d'or ou d'argent, ainsi qu'une pièce de mousseline arachnéenne qui, passant derrière l'oreille et entourant le bas du visage en passant sous le menton, semble comme un compromis entre le voile qui jadis couvrait entièrement la figure et le privilège récemment conquis. Les robes de couleurs éclatantes, aux manches ouvertes dans toute leur longueur, laissant apercevoir un vêtement de dessous en riches étoffes de soie, sont serrées à la taille par un large ruban, généralement pareil à celui du tassakravi, et qui retombe en longs bouts flottants, ou par une ceinture de cette orfèvrerie du Caucase en argent niellé, d'où pend un petit poignard et un pistolet d'un travail curieux,

<sup>1</sup> ალექსანდრ-გაბრიელ დეკამპი (1803-1860) – ფრანგი მხატვარი. მისი ნამუშევრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საფრანგეთისა და ინგლისის მუზეუმებში.

<sup>2</sup> ჟორჟ-ანტუან-პროსპერ მარილა (1811-1847) – ფრანგი ორიენტალისტი-მხატვრების ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი.

armes inoffensives, et que, cependant, leurs belles propriétaires sauraient, en cas de besoin, échanger contre celles plus meurtrières que portent les hommes[8] qui, eux, ne les déposent jamais. Une sorte de surtout en velours nacarat foncé, à manches pendantes par derrière, garni de fourrures de prix, orné sur la poitrine de trois gros brandebourgs en orfèvrerie, recouvre les Géorgiennes pendant l'hiver ; l'été elles s'enveloppent d'une large et longue pièce de cotonnade blanche, nommée tchadré, qui, se mettant sur la tête comme une mantille, retombe jusqu'à terre, serrée à la taille, non par une ceinture, mais par la pression des coudes. (114-115)

გარს სხვადასხვა ეროვნების საინტერესო ბრბო გვეხვია. ფაფახისა<sup>3</sup> და თათრული ბეშმეთის<sup>4</sup> გვერდით, რაც მთიელებსა და ხაზის კაზაკებსაც აცვიათ, ერთმანეთში ირეოდა სპარსული წოწოლა ქუდები, ქართველებისა და სომხების შაქრის თავის მსგავსი ფაფახები, რუსი ვაჭრის ნაციონალური კარტუზი და ხიფთანი; შემდეგ ეს იყო კავკასიური ბურკა<sup>5</sup>, ალის მიმდევრების გრძელი კაბა; ზოგჯერ ეს ბაქოსკენ მოსალოცად მიმავალი პარსის<sup>6</sup> ბომბეის მიდამოებისთვის დამახასიათებელ ბრტყელ ჩალმას მოჰკრავდი თვალს; ამ ბრბოს, რომელიც ბაზრის მოედნისკენ წავიდა, რამდენიმე ქურთი და თურქიც შერეოდა, რომლებმაც წინ გაუარეს მოკლეფეხებიანი აზიური აქლემების თავებს ბეწვიანი ნიდაოებითა<sup>7</sup> და ორმაგი კუზებით, რომელიც უნაგირს ქმნიდა. ქრისტიანი ქალების ნაწილი ძირითადად ქართველებისა და სომხებისგან შედგებოდა და ამიტომ სარგებლობდნენ აღმოსავლელი ქალებისთვის ასე იშვიათი პრივილეგიით – არ დაეფარათ სახე და გვაჩვენებდნენ თავიანთ მომხიბლავ მორთულობას, თავსაკრავს – ბარონის გვირგვინის მაგვარ მოქარგულ ბრტყელ ლენტს, საიდანაც გამოდიოდა ოქრომკედით მოსირმული მსუბუქი ვუალი, აბლაბუდას მსგავსი მუსლინის ქსოვილი, რომელიც ყურის უკან ეშვებოდა და სახის ქვედა ნაწილს და ნიკაპს ფარავდა; როგორც ჩანს, ეს კომპრომისი იყო ახლახან მოპოვებულ პრივილეგიასა და იმ მოსახვევს შორის, რომელიც ადრე მთლიანად ფარავდა სახეს. კამკაშა ფერის კაბები მთელ სიგრძეზე გახსნილი სახელოებით აბრეშუმის ძვირფასი სამოსის დანახვის საშუალებას იძლეოდა; წელზე თავსაკრავის მსგავსი გრძელი, ფრიალა ბოლოებიანი განიერი ლენტი ან კავკასიელი ოქრომკედლის ნამუშევარი მოსევადებული ვერცხლის ქამარი ჰქონდათ შემოჭერილი, რომელზეც პატარა ხანჯალი ან პისტოლეტი – საინტერესოდ ნამუშევარი უსაფრთხო იარაღი ეკიდა; ამასობაში, მათმა მშვენიერმა პატრონებმა საჭიროების შემთხვევაში იცოდნენ მისი იმ უფრო სასიკვდილო იარაღით შეცვლა, რომელსაც კაცებო<sup>8</sup> ატარებენ და არასოდეს იხსნიან. ზამთარში ქართველ ქალებს ძვირფასი ბეწვით მორთული, გულზე დიდი ზომის სამი ბრანდებურით<sup>9</sup> დამშვენებული მოქანავე სახელოებიანი ალისფერი ხავერდის განიერი ზედა სამოსი აცვიათ. ზაფხულში ისინი ბამბის თეთრ ქსოვილში ეხვევიან, რომელსაც

<sup>3</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ფაფახი (papakha) – ჩალმის ფორმის ბეწვის ქუდი“.

<sup>4</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ბეშმეთი (bechmet) – წელში ვიწრო რედინგოტი, რომლის გულზე ორივე მხარეს დამაგრებულია სამასრეები; მას *ჩერქეზკასაც* უწოდებენ“.

<sup>5</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ბურკა (bourka) – მჭიდრო და წყალგაუმტარი ქსოვილის მოსახსნამი“.

<sup>6</sup> პარსები – ირანული წარმომავლობის ზოროასტრიზმის მიმდევარი ეთნო-კონფესიური ჯგუფი.

<sup>7</sup> ნიდაო – ცხენის ან აქლემის კისერი ბეჭების შესაყართან.

<sup>8</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „აზიაში რუსების წინა კამპანიის\* დროს პრინცესა დადიანმა, სამეგრელოს სუვერენის ქვრივმა და თავისი ვაჟის, პრინცი ალექსანდრე\*\* დადიანის რეგენტმა, თავისი ქვეშევრდომები თურქეთის ჯარის წინააღმდეგ შეკრიბა და მათ თავად გაუძღვა. მას აქვს წმინდა ანას დიდი ორდენი და წმინდა გიორგის სამხედრო მედალი, რომელსაც ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ანიჭებენ“.

\*იგულისხმება 1853-1856 წლების ყირიმის ომი.

\*\*ფრანგი მხატვარი უზუსტობას უშვებს, დავით და ეკატერინე დადიანების უფროს ვაჟს ნიკო ერქვა.

<sup>9</sup> ბრანდებური (brandebourgs) – ზონრით შემოკერილი სადილე მუნდირზე.

ჩადრი ეწოდება; მას მანტილიასავით იკეთებენ თავზე, ის მიწამდე ეცემა, ქამრის ნაცვლად კი წელზე მჭიდროდ იკავებენ იდაყვებით.

\*\*\*

Ce diner fut interrompu avant la fin du premier service par un bruit de flûtes rustiques et de tambourins qui semblait venir et venait en effet du dehors. Je ne fus pas des derniers à quitter la table et à me précipiter vers la galerie ornée de colonnes qui règne au premier étage du palais. Un singulier spectacle m'y attendait: la place était couverte d'un immense concours d'hommes, tout un petit cierge allumé à la main; de toutes les rues qui en affluaient de longues lignes de lumières venant se réunir à la masse principale. C'étaient les corporations de Tiflis\*, musique et drapeau en tête, qui accouraient pour féliciter le *namestnik* sur son heureuse arrivée. Lors qu'il parut sur la galerie, un formidable hurra accueillit sa présence; au même moment plusieurs cercles se formèrent aux dépens des côtes des assistants, tant serrés, puis la musique redoubla avec une espèce d'charnement, et les beaux danseurs de chaque corporation exécutèrent cette danse singulière que j'avais déjà vue souvent au Caucase, que les Russes nomment la *lesguinka* et les Géorgiens *lékoury*. Généralement un seul danseur se place au milieu du rond où, parfois manœuvrant sur la même place, il exécute une sorte de trépignement, tantôt sur le talon, tantôt sur la pointe du pied, assez semblable au *zapateado* espagnol; puis s'élançant en avant il parcourt vivement le tour de cercle en continuant les mêmes pas en faisant avec les bras des mouvements qui m'ont rappelé ceux de nos anciens télégraphes. Parfois aussi un homme et une femme sont les acteurs de ce ballet, que ne dédaigne pas la plus haute société géorgienne; j'y ai vu exceller le prince D\*\*\* et les princesses O\*\*\*, T\*\*\*, M\*\*\*. – C'est alors toujours la même figure qui dure depuis la plus haute antiquité: Apollon poursuivant Daphné, mais une Daphné coquette, qui préfère ne pas être changée en laurier. Rien n'est d'ailleurs plus gracieux que cette danse: la jeune femme tient toujours les yeux baissés, et tout, jusque dans les ondulations de sa robe, est chaste et noble. (115)

ეს ვახშამი პირველი კერძის დასრულებამდე შეწყვიტა სოფლური სალამურებისა და დაირების ხმამ, რომელიც გარედან მოდიოდა. სხვებთან ერთად მეც ავდექი და სწრაფად გავემართე სასახლის პირველ სართულზე მდებარე სვეტებით გაფორმებული გალერეისკენ. იქ განსაკუთრებული სანახაობა მელოდა: მოედანზე უამრავი ხალხი იდგა ხელში პატარა ანთებული სანთლებით, რომელთა გრძელი რიგი ყველა ქუჩიდან უერთდებოდა ხალხის მთავარ მასას. ეს *ნამესტნიკისთვის*<sup>10</sup> ბედნიერად ჩამოსვლის მისალოცად მუსიკითა და მაღლა აწეული აღმებით მოსული თბილისის<sup>11</sup> ამქრები იყვნენ. როდესაც თავადი გალერეაში გამოჩნდა, ვაჟა დასძახეს და იმავე წუთს დამსწრეთაგან რამდენიმე მჭიდრო წრეც შეიკრა, მუსიკა გაძლიერდა და ყოველი ამქრის წარმოსადგემა მოცეკვავეებმა განსაკუთრებული ცეკვა შეასრულეს, ისეთი, როგორც უკვე ხშირად მენახა კავკასიაში და რომელსაც რუსები *ლეზგინკას*, ქართველები კი ლეკურს უწოდებენ. ჩვეულებრივ, წრეში მხოლოდ ერთი მოცეკვავეა, ის ერთ ადგილზე მოძრაობს, ფეხებს აბაკუნებს და ხან ქუსლებზე, ხან კი თითის წვერებზე ცეკვავს, რაც საკმაოდ ჰგავს ესპანურ ზაპატეადოს<sup>12</sup>; შემდეგ მოცეკვავე წინ გავარდება და ხელების ისეთი მოძრაობით, რაც ჩვენს ძველ ტელეგრაფებს მაგონებს, სწრაფად

<sup>10</sup> ნამესტნიკი (რუს.наместник) – მეფისნაცვალი.

<sup>11</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „თბილისში ყოველი ხელოსანი, ყოველი ვაჭარი ქმნის კორპორაციას, რომელსაც მათ მიერ არჩეული პირები მართავენ. შეიძლება ამ ორგანიზაციის საქმიანობის ექვექვემ დაყენება; ფიქრობენ, რომ ისინი ბოროტად სარგებლობენ თავიანთი მონოპოლიით“.

<sup>12</sup> ზაპატეადო (*zapateado*) – ცეცხლოვანი ესპანური ცეკვა.

შემოუვლის წრეს. ზოგჯერ ამ ბალეტის მონაწილე ერთი კაცი და ერთი ქალია და ამ ცეკვას არც უმაღლესი ფენის წარმომადგენლები თაკილობენ. მე ვნახე, როგორ ბრწყინვალედ ცეკვავდნენ თავადი D\*\*\* და თავადის ქალები O\*\*\*, T\*\*\*, M\*\*\*. – ამგვარად, ეს მუდამ იგივე სიმბოლოა, რომელიც უძველესი დროიდან მოდის: აპოლონი მისდევს დაფნას, მაგრამ კეკლუც დაფნას არ სურს დაფნის ხედ გადაქცევა<sup>13</sup>. ეს ცეკვა მეტად გრაციოზულია: ახალგაზრდა ქალს თვალები მუდამ დახრილი აქვს და ყველაფერი, მისი კაბის რხევით დამთავრებული, უმწიკვლო და კეთილშობილურია.

\*\*\*

Au commencement du carême, le vénérable patriarche Narsès, le pape des Arméniens, mourut à un âge très avancé pendant un voyage qu'il avait fait à Tiflis. Je fus témoin, à cette occasion, d'une magnifique cérémonie funéraire. J'avais eu plusieurs fois l'honneur de me trouver en compagnie du patriarche, et je voulus lui donner un dernier témoignage de respect en assistant à ses funérailles. Le service eut lieu dans l'antique cathédrale arménienne, fortifiée, qui s'élève près du Koura dans l'ancien Tiflis, avec toute la pompe que l'on déploie en semblable circonstance; puis on conduisit la dépouille mortelle du pontife vénéré vers sa dernière demeure, le couvent d'Echmiadzine près d'Erivan, au pied du mont Ararat, séjour habituel des patriarches arméniens, leur siège pontifical, et le lieu de leur sépulture. (115)

მარხვის დასაწყისში თბილისში მხცოვან ასაკში გარდაიცვალა სომეხთა წინამძღოლი და პატივცემული პატრიარქი, ნერსესი. მე დავესწარი მის ბრწყინვალე დასაფლავებას. მე რამდენჯერმე მხვდა წილად პატრიარქის საზოგადოებაში ყოფნის პატივი და დაკრძალვაზე მისვლით მის მიმართ ჩემი პატივისცემის გამოხატვა მსურდა. წირვა ძველ თბილისში, მტკვრის მახლობლად აღმართულ ძველ, გამაგრებულ სომხურ ტაძარში მთელი იმ პომპეზურობით ჩატარდა, როგორც ამგვარ ვითარებაშია მიღებული; შემდეგ ღირსი პატრიარქის ნეშტი უკანასკნელ განსასვენებელში – ერევნის მახლობლად, არარატის მთის ძირში მდებარე ექმიადინის ტაძარში წასვენეს, რომელიც სომეხი პატრიარქების მუდმივი საცხოვრებელი, მათი რეზიდენცია და მათი სამუდამო საძვალეა.

\*\*\*

Je pourrais encore citer parmi mes souvenirs de Tiflis le bal donné par la noblesse et celui qu'offrirent la *douma*\* et les marchands, peu de jours après, au prince (115) Bariatinsky. C'était un ravissant spectacle que tout ce singulier amalgame de costumes européens et asiatiques, d'uniformes russes et de costumes géorgiens et musulmans, de robes européennes avec l'ampleur exagérée de la crinoline, et des robes amples également, mais tombant en larges plis, des dames de Tiflis. Les vastes salles du gymnase\* avaient été mises en réquisition pour le premier; une salle arrangée à la mode persane, en *darbaz*, attira surtout mon attention. Kaliases\* de toutes formes, miroirs à encadrements fantastiques, vases d'argent de toute espèce, peintures curieuses, armes richement ornées, etc., etc., étaient rangés avec profusion sur une large corniche qui faisait le tour de l'appartement à trois pieds environ du plafond; un cordon de bougies la redessinait d'une ligne brillante dans tout son pourtour, et les murs étaient recouverts de tapis de Perse aux couleurs éclatantes en même temps qu'harmonieux.

<sup>13</sup> ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ხელოვნების მფარველ ღმერთს, აპოლონს, შეუყვარდა მდინარის ღმერთის, პენეოსის ასული ლამაზი ნიმფა დაფნე, რომელმაც მისი სიყვარული უარყო, გაიქცა და თავის მამას სთხოვა დახმარება, მან კი ის მცენარედ გადააქცია. აპოლონმა დაფნის ფოთლები პოეტების ტრიუმფის სიმბოლოდ აქცია.

Un large divan, recouvert de ces mêmes tapis, faisait le tour de la salle, et à son extrémité s'y tenait accroupi tout un orchestre persan. C'étaient des *doudouk* ou *salamouri*, clarinettes donnant des sons assez semblables à ceux d'un hautbois criard; des *tchianouri*, violons de forme étrange tenus perpendiculairement, et sur lesquels l'archet se promène horizontalement, comme sur le violoncelle; une paire de timbales lilliputiennes sur lesquelles on touche avec des baguettes semblables à des manches de pinceaux et qui produisent un bruit pareil à celui que ferait une forte grêle frappant sur des carreaux de vitre: on les nomme *dimlipito*; puis enfin *Satar*, le fameux *Satar*, le Rubini, le Duprez de la Perse, pour qui l'ut de poitrine n'est qu'un jeu, puisqu'il monte authentiquement quatre ou cinq tons au-dessus, mais qui, pour y arriver, fait de telles grimaces que, pendant qu'il chante, il se tient constamment la figure cachée par un livre pour les dissimuler aux assistants. Le bal des marchands eut lieu dans un khan récemment construit par un riche Arménien, le colonel Arzrouni, et qui n'était pas encore habité. Les éléments en furent les mêmes que ceux de la fête précédente, et n'eussent été les costumes caucasiens d'hommes et de femmes qui étaient en nombre considérable dans ces deux bals, il eût été impossible de se croire en Asie. (116)

თბილისში ჩემი ყოფნის მოგონებებს დავუმატებ თავად-აზნაურობისა და რამდენიმე დღის შემდეგ კი *დუმისა*<sup>14</sup> და ვაჭრების მიერ თავადი ბარიატინსკისთვის გამართულ მეჯლისებს. არაჩვეულებრივი სანახავი იყო ევროპული და აზიური კოსტიუმების მთელი ეს უჩვეულო ნარევი, რუსული მუნდირები, ქართული და მუსლიმური კოსტიუმები, ევროპული კაბები ძალიან დიდი კრინოლინებით და თბილისელი ქალბატონების თავისუფალი, ფართო ნაოჭებიანი კაბები. პირველი მეჯლისისთვის გიმნაზიის<sup>15</sup> უზარმაზარი დარბაზები იყო რეკვიზირებული<sup>16</sup>. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება სპარსულ ყაიდაზე მოწყობილმა დარბაზმა მიიპყრო. ყველა ფორმის ყალიონი<sup>17</sup>, სარკეები ფანტასტიკურ ჩარჩოებში, ვერცხლის მრავალნაირი ლარნაკები, საინტერესო ფერწერა, მდიდრულად მორთული იარაღი და მრავალი სხვა რამ უხვად იდგა ფართო კარნიზზე, რომელიც ჭერიდან 3 ფუტზე [91 სმ] გარშემო უვლიდა ოთახს, რომლის მთელ პერიმეტრზე სანთლების რიგი ბრწყინავდა, კედლებზე ხასხასა და ამავე დროს ჰარმონიული ფერების სპარსული ხალიჩები ეკიდა. დარბაზის ირგვლივ ასეთივე ხალიჩებით დაფარული დიდი დივანი იდგა, ოთახის ბოლოში ჩაცუცქებული იყო სპარსული ორკესტრი. ეს დუდუკები თუ სალამურები – კლარნეტები იყო, რომლებიც ჰობოების მსგავს მყვირალა ხმებს გამოსცემდნენ; ჭიანურები – უცნაური ფორმის ვიოლინოები, პერპენდიკულარულად უჭირავთ და მათზე ისე, როგორც ვიოლონჩელოზე, ხემს ჰორიზონტალურად უსვამენ; ძალიან პატარა დაფდაფებს ფუნჯის ტარის მსგავს ჯოხებს არტყამენ და ისინი ისეთ ხმას გამოსცემენ, როგორსაც ძლიერი სეტყვა წარმოქმნის შუშაზე: მათ დიპლიპიტოს უწოდებენ. დაბოლოს სათარა, ცნობილი სათარა, სპარსეთის რუბინი და დიუპრე, რომლისთვისაც ზედა ოქტავის ბგერა დო მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, რადგან ის ნამდვილად ოთხი-ხუთი ტონით მაღალ ბგერას იღებს, მაგრამ ამ ტონამდე ასასვლელად ისეთ გრიმასებს აკეთებს, რომ სიმდერის დროს წიგნს ეფარება დამსწრეებისგან სახის დასაფარად. ვაჭრების მიერ გამართული მეჯლისი ერთი მდიდარი სომხის, პოლკოვნიკ არწრუნის, მიერ

<sup>14</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „მერია. დუმაში იგულისხმება შენობა, ქალაქის თავი – მერი და ქალაქის საკრებულო“.

<sup>15</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ლიცეუმი“.

<sup>16</sup> რეკვიზაცია – სახელმწიფო ან სამხედრო ხელისუფლების მიერ გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ ან განსაზღვრული დროით მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ქონების იძულებითი გასხვისება.

<sup>17</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ნარგილეს“ მსგავსი სპარსული ყალიონი“.

\*ნარგილე – ადმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა, რომელიც შედგება წყლის ჭურჭლისა, ტყავის გრძელი მილისა და ჩიბუხისაგან.

ცოტა ხნის წინ აშენებულ სახლში გაიმართა, რომელშიც ჯერ არავინ ცხოვრობდა<sup>18</sup>. იქ იგივე ხალხი იყო, რაც წინა დღესასწაულზე და რომ არა კაცებისა და ქალების კავკასიური კოსტიუმები, რომლებიც ორივე მეჯლისზე მრავლად იყო, ვერც კი იფიქრებდი, რომ აზიაში ხარ.

\*\*\*

Le carême se passa avec son austérité accoutumée, pour le prince Bariatinsky et ses coreligionnaires, mais non pour l'étranger qui recevait une si magnifique hospitalité; puis arriva enfin le jour de liesse, Pâques\*, si impatientement attendu par les estomacs débiles, alors que sur toutes les tables, dans toutes les maisons, le beurre, si longtemps prohibé, se dresse en quantités énormes sous toutes les formes possibles, mais surtout sous celle d'agneau habilement modelé. Les œufs rouges, absolument comme en France, sont dans toutes les mains, dans toutes les poches; je ne parlerai pas des présents qui se font d'œufs en bois taillé, en porcelaine et même en matières plus précieuses; l'usage commence à s'en répandre parmi nous; mais ce qui caractérise ce jour dans l'Église d'Orient, c'est le baiser que chacun se donne en s'abordant. *Khristos voskres*, le Christ est ressuscité, est la phrase sacramentelle qui sert de salut. Dire que les rangs sont confondus serait aller trop loin, mais le supérieur embrasse son inférieur, le maître son domestique, en signe de paternité et d'égalité devant Dieu et en réjouissance de l'heureux événement que fête l'Église. (116)

თავადი ბარიატინსკისა და მისი თანამორწმუნეებისთვის მარხვამ ჩვეული სიმკაცრით ჩაიარა, მაგრამ არა უცხოელებისათვის, რომლებსაც შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს; და აი, ბოლოს დადგა საზეიმო დღე, აღდგომა<sup>19</sup>, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ხალხის დაუძღვრებული კუჭი; ყველა სახლის ყველა მაგიდაზე ასე დიდხანს აკრძალული კარაქი უზარმაზარი რაოდენობითა და ყველა შესაძლო ფორმით იდო, რომელთა შორის განსაკუთრებით ოსტატურად ბატკანი იყო გაკეთებული. ისე, როგორც საფრანგეთში, წითელი კვერცხები ყველას ან ხელში ეჭირა ან ჯიბეში ედო. არაფერს ვიტყვი საჩუქრად მისაცემ ხისგან გამოჭრილ, ფაიფურისა და უფრო ძვირფასი მასალის კვერცხებზე; ეს წესი ჩვენ შორისაც იწყებს გავრცელებას. მაგრამ ის, რაც ამ დღეს ახასიათებს აღმოსავლეთის ეკლესიას, ეს ერთმანეთის გადაკოცნაა. „ქრისტე აღსდგა“ კი ის საკრალური ფრაზაა, რომლითაც ერთმანეთს ესალმებიან. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ წოდებებს შორის ზღვარი იშლება, მაგრამ ამ ბედნიერი მოვლენის აღსანიშნავად, რომელსაც ეკლესია ზეიმობს, ზემდგომები ქვემდგომებს, ბატონები კი თავიანთ მსახურებს მამობრიობისა და ღმერთის წინაშე თანასწორობის ნიშნად ეხვევიან.

\*\*\*

Le jour de Pâques, arriva une députation de Touchines ou Khefsours, peuple chrétien qui habite au nord-ouest de la Géorgie entre celle-ci, les hauts sommets du Daghestan et le pays des Ossettes.

<sup>18</sup> იერემია გიორგის-მე არწრუნი (1804-1877) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (01.02.1860), დაიბადა ოსმალეთის იმპერიაში, ქალაქ ვანში, მდიდარი ვაჭრის გეგორგ-აღა არწრუნის ოჯახში. იერემია 9 წლის იყო, როცა არწრუნების ოჯახი საცხოვრებლად ტფილისში გადავიდა, სადაც პირველი განათლება მიიღო, სამხედრო სასწავლებელი კი პეტერბურგში დაამთავრა. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-თურქეთის (1828-1829) და კავკასიის (1817-1864) ომებში.

<sup>19</sup> ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „მარხვას რუსეთში გაცილებით მეტად იცავენ, ვიდრე რომაული ეკლესიის მიმდევრები. სამარხვო კვება მეტად მკაცრია, აღმოსავლეთის ეკლესია კრძალავს კვერცხის, კარაქის, რძის პროდუქტებისა და თევზის ჭამას. საჭმელს, ძირითადად ბოსტნეულს, განსაკუთრებით კი სოკოს, რუსეთში წარმოებული მარცვლეულის ზეთზე ამზადებენ. ჩაის ნუშის ზეთით სვამენ“.

Excepté dans l'escorte particulière de l'empereur de Russie, je n'avais pas encore eu l'occasion de voir des hommes revêtus de la cotte de mailles; et ici je dirai que Châmyl, que l'on représente toujours sous ce costume, ne l'a jamais porté. Rien n'est plus original que l'accoutrement de ces hommes: ils sont revêtus d'une espèce de tunique à longues manches de gros drap foulé couleur rouge sang de bœuf; un pantalon de même étoffe leur arrive au milieu des jambes qui sont couvertes de jambières en cuir ornées de dessins bizarres en broderies de couleur. La chaussure consiste en brodequins pointus qui arrivent au-dessus de la cheville où ils vont en s'évasant. C'est pardessus tout cela qui représente le *chamois* des guerriers du moyen âge, qu'ils mettent leur armure de mailles. Le casque est formé par une calotte de fer ornée d'une bande de cuivre retenue par des clous d'acier; au centre se trouve un bouton du même métal d'où part un cordon qui s'attache au cou, et témoigne du peu de stabilité de cette coiffure; de la calotte pend une pièce de mailles qui descend jusque sur les épaules par derrière et sur le devant n'arrive que jusqu'à la hauteur des yeux; mais de chaque côté il existe un appendice, qui, au moment du combat, y est fortement attaché au moyen de cordons de cuir et garantit ainsi le reste du visage. La cotte de mailles proprement dite est de la même forme que la tunique qu'elle recouvre entièrement, et le pantalon est également couvert de mailles, mais par devant seulement; et cette moitié de défense est attachée autour de la cuisse par des cordons de cuir. Quelques Touchines avaient une petite armure en mailles sur leurs brodequins. Deux bandoulières se croisent sur la poitrine et sur le dos; l'une soutient une cartouchière épousant la forme du corps, dans laquelle il y a place pour douze cartouches; l'autre supporte le *chachka*, sabre qui n'a pas de croisillon à la poignée, laquelle entre en partie dans le fourreau. Ces bandoulières en cuir épais sont ornées de clous et d'ornements d'argent; de distance en distance pendent quelques appendices terminés par une croix en argent. Le corps est entouré d'une ceinture pareille qui soutient à (116) droite une boîte d'argent destinée à contenir la graisse nécessaire pour l'entretien des armes, et à la gauche le *kindjall*, ce long poignard du Caucase que l'on voit au côté de tous les habitants de ce pays. Au cou est pendu, par une longue et mince courroie de cuir un petit bouclier de bois rond, revêtu à la surface extérieure de bandes concentriques de fer fixées par des clous à tête, en forme de pointe de diamant; au centre une plaque carrée fixée par les mêmes clous et par quatre bandes de fer en croix assure la solidité de cette arme défensive; l'intérieur est doublé de cuir, et une seule poignée au centre sert à la saisir. L'armement est complété par le long fusil du Caucase, à la crosse mince et étroite, au canon de Damas déroché, maintenu par une multitude de capucines en argent. (117)

აღდგომის დღეს ქრისტიანი ხალხის, თუშებისა და ხევსურების დელეგაცია ჩამოვიდა; ისინი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში, საქართველოს, დაღესტნის მაღალ მთებსა და ოსების მიწას შორის ცხოვრობენ. რუსეთის იმპერატორის პირადი ესკორტის გარდა, ჯაჭვის პერანგში ჩაცმული ხალხის ნახვის საშუალება სხვაგან არ მქონია. აქვე ვიტყვი, რომ შამილს, რომელსაც მუდამ ასე ჩაცმულს წარმოადგენენ, ის არასოდეს უტარებია. ამ კაცების სამოსი ძლიერ ორიგინალურია: ეს არის მოთელილი სქელი მაუდის ხარის სისხლის ფერი ერთგვარი გრძელსახელოებიანი ტუნიკა; იმავე მასალის შარვალი შუა წვივამდე, რომელიც ფერადი ძაფებით მოქარგული და უცნაური ნახატით მორთული ტყავის პაჭიჭებით აქვთ დაფარული, ფეხზე აცვიათ ჩექმა წაწვეტებული ცხვირით, რომელიც კოჭს ზემოთ ფართოვდება. ზედა სამოსზე, რომელიც შუა საუკუნეების მეომრის ტყაპუჭს ჰგავს, აბჯარს იცვამენ. რკინის მუზარადი მორთულია ფოლადის ლურსმნებით დამაგრებული სპილენძის ლენტით; ცენტრში მოთავსებული იმავე ლითონის ღილიდან გამოდის თასმა, რომელიც მაგრდება კისერთან და თავის ამ მორთულობის ნაკლებად სიმყარეზე მიუთითებს; მუზარადიდან

ემშვება ჯაჭვები, რომლებიც უკან მხრებამდე, წინ კი თვალების დონემდე სწვდება. მაგრამ ყოველ მხარეს არის ასეთი დანართი, რომელიც მკვიდრად და დამაგრებული ტყავის თასმებით და ბრძოლის დროს სახის დანარჩენ ნაწილს იცავს. საკუთრივ ჯაჭვის პერანგი ტუნიკის ფორმისაა და მას მთლიანად ფარავს; შარვალზე ჯაჭვითაა დაფარული, მაგრამ მხოლოდ წინა მხარეს; თავდაცვის ეს ნაწილი თემოს გარშემო ტყავის თასმებით მაგრდება. ზოგიერთ თუშს პატარა ზომის ჯაჭვები ჩექმებზეც უკეთია. გულზე და ზურგზე გადაჯვარედინებულია ორი სამხრე: ერთი იჭერს სავაზნეს, რომელშიც თორმეტი ვაზნა ეტევა, მეორე კი შაშკას – ხმალს, რომელსაც გლუვი ტარი აქვს და ქარქაშში ბოლომდე არ არის ჩაგებული. ტყავის თასმები ლურსმნებით და ვერცხლის ორნამენტებითაა მორთული; ალაგ-ალაგ ჩამოკიდებული თასმები ვერცხლის ჯვრებით ბოლოვდება. ამის მსგავსი ქამარი ტანზე აქვთ შემოხვეული, რომელზეც მარჯვნივ ვერცხლის ყუთით იარაღის გასაპოხი ცხიმი, მარცხნივ კი ხანჯალი – გრძელი კავკასიური სატევარი ჰკიდიათ, რომელსაც ამ ქვეყნის ყველა მამაკაცი ატარებს. კისერზე, გრძელ და წვრილ ტყავის თასმაზე ხის მრგვალი, პატარა ფარი ჰკიდიათ; მისი ზედაპირი ნაპირებში ბუნიკის ფორმის ლურსმნებითა და წრიულად განლაგებული რკინის ზოლებითაა შეჭედილი, ცენტრში კვადრატული ფირფიტა იგივე ლურსმნითა და რკინის ოთხი გადაჯვარედინებული ზოლითაა დამაგრებული, რაც ამ თავდაცვით იარაღს სიმტკიცეს მატებს; ფარს, შუაში სახელურით, შიდა მხარეს ტყავი აქვს გამოკრული. ეს აღჭურვილობა სრულდება თხელი და ვიწრო კონდახიანი გრძელი კავკასიური თოფითა და დამასკური დამბაჩით, რომელსაც ვერცხლის რგოლები იჭერს.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიაძე)